ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ანგარიში კომისიის გაწეული მუშაობის შესახებ

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2015 წლის აპრილიდან 2016 წლის 14 ნოემბრამდე პერიოდს.

კომისია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმოდგენილი იყო 7 წევრით.

კომისია თავის უფლებამოსილებას ახორციელებდა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის და კომისიის დებულების შესაბამისად.

კომისია სხდომებზე განიხილავდა სამოქმედო გეგმის და საკრებულოს მუშაობის პროცესში წარმოშობილ დამატებით საკითხებს. შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფდა საკრებულოში პროცედურული ნორმების დაცვას. ასევე პასუხისმგებლობას იღებდა საკრებულოს სამართლებრივი აქტების კანონშესაბამისობაზე.

კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 42 კომისიის სხდომა, მათშორის 18 მორიგი და 24 რიგგარეშე , მოახდინა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული 39 საკრებულოს სხდომის კენჭისყრის შედეგების შეჯამება.

კომისიას უმეტეს შემთხვევაში საკითხების განხილვა უწევდა რიგგარეშე კომისიის სხდომაზე და ძალიან მცირე დროში, რაც გამოწვეული იყო საკრებულოს სხდომების ინტენსივობით.

მე როგორც კომისიის თავმჯდომარე, საანგარიშო პერიოდში ვიყავი მომხსენებელი საკრებულოზე წარდგენილ 18 საკითხზე.

კომისიამ შეიმუშავა რეკომენდაცია ა(ა)იპ ხარაგაულის წმიდა თორმეტი მოციქულის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდის ფუნქციონირების და აღნიშნული აიპის მართვაში ან დაფუძნებაში მუნიციპალიტეტის მონაწილეობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ რომელშიც მივუთითეთ, რომ მუნიციპალიტეტის მონაწილეობა მსგავსი აიპის მართვაში ან დაფუძნებაში ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" და ზოგადად კანონმდებლობის მოთხოვნებს. ასევე შევიმუშავეთ წინადადება გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურში არსებული მთავარი სპეციალისტის შტატის გამგებლის მრჩეველის რანგში ტურიზმის განვითარების საკითხებში აყვანი მიზანშეწონილობაზე, რომელზეც კომისიამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია აღნიშნული ცვლილების განხორციელება ვინაიდან, ტურიზმის მიმართულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შექმნილია ,, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი" რომლიც სწორედ წარმოდგენილ მიზნებს ემსახურება, აქედან გამომდინარე დამატებითი შტატის შემოღება თუნდაც ცვლილება აუცილებლობას არ წარმოადგენს.

კომისიამ იმსჯელა საკრებულოს სხდომებზე წარმოდგენილი თითოეული სამართლებრი აქტის კანონთანშესაბამისობაზე და ყველა მათგანზე მოამზადა შესაბამისი დასკვნა.

კომისიამ საკრებულოს აპარატთან ერთად მოამზადა და ჩაატარა საკრებულოს თავმჯდომარის, ინგა მაღრაძის, იმპიჩმენტის საკითხზე ფარული კენჭისყრა, რომლის შედეგების შეჯამებისას აღმოჩნდა რომ აღნიშნული საკითხი გადაწყდა უარყოითად და ვერ მოხდა საკრებულოს თავმჯდომარის გადარჩევა. იგევე საკითხი დაისვა და შესაბამისად ფარული კენჭისყრა ჩატარდა 3 თვის შემდეგაც, მაგრამ ამ ჯერად საპირისპირო გადაწყვეტილება იქნა მიღებული და საკრებულოს თავნჯდომარე იქნა გადარჩეული.

კომისიამ ასევე უზრუნველყო ახალი საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და საკრებულოს ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის პროცედურები.

კომისიამ განიხილა საკრებულოში ახალი ფრაქციის „თავისუფალი არჩევანის“ დაფუძნების საკითხი რომელზეც თავდაპირველად მიიღო დადებითი დასკვნა და წარუდგინა საკრებულოს ბიუროს, თავის მხრივ ბიურომ არ მიიჩნია აღნიშნული საკითხი სათანადოდ მომზადებულად და დასაბუთებულად რის შემდეგადაც ხელახალი განხილვისთვის უკან დაგვიბრუნა კომისიას. კომისიამ ხელახალი განხილვისას მიიღო განსხვავებული გადაწყვეტილება და ფრაქცია „თავისუფალი არჩევანის“ დაუძნებაზე მიიღო უარყოფითი დასკვნა, რომელსაც დაეთანხმა საკრებულოს წევრების უმრავლესობა და შესაბამისად ახალი ფრაქცია ვერ ჩამოყალიბდა.

კომისია აპირებს მომავალში აქტიურ მუშაობას იმ ფუნქციების და მოვალეობების შესასრულებლად რაც დაკისრებული აქვს საქართველოს ორგანული კანონით „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე მიხეილ გელაშვილი